საქართველოს ეროვნული ბანკი
რეგისტრირებულია
პრეზიდენტის აპარატის.
კანცელარიის განკოფილებაში
9 06 2022 № 131/30

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №131/30

ქ. თბილისი
9 ივნისი, 2022 წელი

შემსყიდველი: ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი", აღმასრულებელი დირექტორის ვახტანგ ბურკიაშვილის სახით,
მისამართი: სანაპიროს 2, თბილისი 0114, საქართველო,
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 824 148

მიმწოდებელი: შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი" მისი დირექტორის რუსლან შულდიკის მინდობილი პირის გვანცა საბიაშვილის სახით;
მისამართი, ტელეფონი: თვალჭრელიძის N2, ქ. თბილისი, ტელ: 250 50 50;
საიდენტიფიკაციო კოდი: 406 119 178;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი", ა/ა GE83TB7920036020100004.

ერთის მხრივ - შემსყიდველი, და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვით, შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სებ-ის საკასო ცენტრის ინკასატორისათვის სპეციალური სამუშაო ფეხსაცმლის (შემდგომში „საქონელი") შესყიდვა (CPV კოდი 18832000).

1.2. საქონლის აღწერილობა და განფასება:

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა (წყვილი)	ერთეულის ფასი (ლარებში)	მთლიანი ფასი (ლარებში)
1.	უსაფრთხოების ფეხსაცმელი K-PLUS (მეტალის წინა და შუა საფენით) არ ატარებს ბასრ საგნებს 42	1	248.75	248.75
2	უსაფრთხოების ფეხსაცმელი K-PLUS (მეტალის წინა და შუა საფენით) არ ატარებს ბასრ საგნებს 43	3	248.75	746.25
3	უსაფრთხოების ფეხსაცმელი K3-PLUS 44	1	248.75	248.75
4	უსაფრთხოების ფეხსაცმელი K3-PLUS 45	1	248.75	248.75
		ჯამი:		1492.50

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი და/ან ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 3. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდება უნდა განახორციელოს, ერთიანად ან ეტაპობრივად ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს **2022 წლის 15 ივნისისა.**

3.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.3. საქონლის მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.4. მიწოდებული საქონლის საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის იურიდიული მისამართი.

3.5. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის და წუნდების მიზეზის მითითებით.

3.6. შემსყიდველის მხრიდან 3.2. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **1492.50 (ერთი ათას ოთხას ოთხმოცდათორმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს („ხელშეკრულების ფასი“).**

4.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.3. ხელშეკრულების 4.1. პუნქტში მითითებული ფასის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად საქონლის ან მისი ნაწილის მიღებიდან და მიმწოდებელის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები.

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიწოდებული საქონელი

5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 6. გარანტია

6.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი. შესყიდვის ობიექტების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ტიპის საქონელზე მოქმედ სახელმწიფო ან საერთაშორისო სტანდარტებს.

6.2. მიმწოდებელი იძლევა იმის გარანტიას, რომ მის მიერ გადაცემული საქონელი იქნება შესაბამისი ტექნიკურ მოთხოვნებთან და შესაფერისი იმ მიზნისათვის, რომლისთვისაც ის არის გათვალისწინებული და იმუშავებს სრულიად გამართულად.

6.3. თუ საქონლის მიღებისას გამომჟღავნდება საქარხნო დეფექტი, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შეცვალოს დეფექტური საქონელი ახლით 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,02%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

7.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%–ის ოდენობით.

7.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადაგადაცილება შეადგენს 30 დღეს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება, ვალდებულებების შეუსრულებლობის მოტივით.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სულ მცირე 30 დღის განმავლობაში ვალდებულებების სრულად შესრულებიდან, მაგრამ არაუგვიანეს **2022 წლის 31 დეკემბრისა.**

8.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 11. დავათა განხილვის წესი

11.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ზოგადი დებულებები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

12.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

12.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
ვახტანგ ბურკიაშვილი _____	**გვანცა საბიაშვილი** _____
საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი	შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“ მინდობილი პირი

დამოწმებულია
კვალიფიციური
ელექტრონული შტამპით

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ბ.ა.

Gvantsa Sabiashvili

Подписано цифровой подписью: Gvantsa Sabiashvili
Дата: 2022.06.09 16:48:34 +04'00'

პრეზიდენტის №52/04 ბრძანების საბაზისო
ფორმატში მიღებული ელექტრონული ვერსია
ბ.ბარბაქაძე ბ.ჯიჯეიშვილი ბ.ლებანიძე
ა.მინდიაშვილი ჭ.ლონდარიძე ლ.ძნელაძე

N 3-16/1979
07/06/2022

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ვახტანგ ბურკიაშვილი, თორნიკე ებანოიძე, ლევან ძნელაძე, ბექა ბარბაქაძე და მიხეილ ლაშხი, ვადასტურებთ, რომ ჩვენი, მონაწილეობა სპეც-ფეხსაცმელების შესყიდვის პროცესში (მიმწოდებელი შპს "ტერმინალ ვესთ თრეიდინგი") არ იწვევს `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტს.

ვახტანგი ბურკიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი
საქართველოს ეროვნული ბანკი

თორნიკე ებანოიძე

დეპარტამენტის უფროსი
შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი

ლევან ძნელაძე

დეპარტამენტის უფროსი
საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტი

ბექა ბარბაქაძე

განყოფილების უფროსი
ლოჯისტიკის განყოფილება

მიხეილ ლაშხი

მე-2 თანრიგის უფროსი სპეციალისტი
ლოჯისტიკის განყოფილება